№ 5.

# ივერია

წელიწადი პირველი — 2 აპრილს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის" რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის" ფასი 1877 წლის.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. ოსმალეთის კონსტიტუცია.— II. საქართველოს მატიანე.—III. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი—IV საპოლიტიკო მიმოხილვა: აღმოსავლეთის საქმე. ავსტრი-ვენგრია. გერმანია. საფრანგეთი. V. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის: საფრანგეთი.— VI. ჩვენის ისტორიისათვის მასალა.—VII. ამბავათ გაგონილნი.—VIII. ერთი მრავალთაგანი, მოთხრობა.—X გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები.

## ოსმალეთის კონსტიტუციის შესახებ.

ერთი მწერალი ამბობს—ოსმალეთის მაგივრად რომ სხვა რომელიმე მთავრობა და სახელმწიფო ყოფილიყო, ბალკანის ნახევარ კუნძულზე დიდი ხნის სლავიანების ხსენებაც არ იქნებოდაო. ეს აზრი მთლად მართალია, თუ არა ღმერთმა უწყის, მაგრამ ისე კი უნდა აღვიაროთ, რომ ოსმალეთის მფლობელობას ერთი შესანიშნავი მხარე ჰქონდა: მოვა რომელიმე მოხელე, გაცარცვავს კაცს, წაართმევს რაც შეუძლიან და დაანებებს თავს—ახლა როგორც გინდა ისე იცხოვრეო; არც შენი ენა მინდაო, არც შენი შინაგანი განწყობილება, არც შენი გვარტომობის თვისებაო. არა ჰგვანებია განათლებულის ევროპის ზოგიერთს განათლებულს სახელმწიფოს, მაგალითებრ, გერმანიას, რომელიც ჯერ ისე მოწიწებით ექცევა კაცსა, ისე ეტრფიალება თითქო მისი თავ-დადებული მოძმე იყოს, და მერე კი ვერც შეამჩნევს კაცი ან ხორცი როგორ შეუჭამა, ან სული როგორ ამოართვა.

იმ გვარს გამგეობას ოსმალეთის სახელმწიფოისას, როგორიც ზემოდ მოვიხსენეთ, ორ გვარი შემდეგი ჰქონდა ცალკე სლავიანებისა და ცალკე ოსმალეთისათვის. ჩვენ იმას კი აღარ ვამბობთ, რომ იგი გამგეობა დიდად მავნებელი იყო სლავიანების კეთილმდგომარეობისათვის და მის ბედ-კრულობის უმთავრესს მიზეზს შეადგენდა. ეს ხომ ასეა და ასე. მაგრამ მწუხარებას ნუგეშიც მოსდევდა: იმ გვარმა გამგეობამ გაჰყო მთელი სახელმწიფო ორ იმისთანა ნაწილად, რომელნიც არამცთუ მარტო ურთიერთს მტრობენ, არამედ ამასთანავე ერთი მეორეს ჰფლობს და ჰქმობს. ამიტომაც ხელ ქვეშეთს მეორე ნაწილი ნათლად ხედავს თავის მტერს, იცის ვის უნდა ებრძოლოს, რომ უბედურებიდამ და მტარვალობიდამ თავი დაიხსნას. გარდა ამისა ამგვარი ყოფა-ცხოვრება ერთმანეთთან აკავშირებს უბედურთა და დევნულთა, ასე რომ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ურთიერთის უფრო მტკიცედ მხარს აძლევინებს. ოღონდ საერთო მტერი განვდევნოთო ჩვენის ქვეყნიდამო და მერე ჩვენს თავს ჩვენ თვითონ მოვუვლითო და ერთი ერთმანეთში როგორც იქნება მოვთავსდებითო. დღემდე სლავიანების საქმე ასე იყო. ეს ერთი შედეგი მტარვალობით გამგეობისა.

ოსმალეთის შესახებ კი ამას ვიტყვით, რომ ამ გვარი მტარვალობითი მოპყრობა და გაწყობილება თვით ოსმალეთის სახელმწიფოსათვის დიდად საშიშარი რამ არის და შესაწუხარიცა. საშიშარი იმიტომა რომ ამ მტარვალობისგამო სახელმწიფოს შიგ მარადი მტერი უჩნდება, მერე იმისთანა რომ თუ დღეს დაამარცხე ხვალ ისევ თოფს წაავლებს ხელს. სამწუხარო იმიტომ არის, რომ მაგ გვარი გამგეობა თითო-ოროლა კაცს ამდიდრებს, ახეირებს და საზოგადოებას და მთელს სახელმწიფოს კი აღარიბებს ქვეყანას მის ქონებას სრულიად ფუჭად უტარებს და უკარგავს. გარდა ამისა, დრო გამოშვებითი აჯანყება სლავიანებისა მიზეზს აძლევს სხვა სახელმწიფოებს გა-

რიონ ოსმალეთის შინაურს საქმეში, . . . . . .
. . . . . . , . . . . . .
. ...

ოსმალეთის გონიერმა კაცებმა იგრძნეს ეს უბედური შედეგი უთავბოლო მდგომარეობისა და კონსტიტუცია გამოსცეს.

კონსტიტუცია რასაკვირველია ბევრად უმაღლესია იმ მმართველობაზე, რომელიც აქამდისინ იყო ოსმალეთში, რადგანაც კონსტიტუციის დედა აზრი წარმომადგენლობით მმართველობაა; ხალხს კონსტიტუციის ძალით ეძლევა მონაწილეობა კანონ-მდებლობაში, ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) წარმოებაში და სამხედრო განწყობილებაში. ეს ყველა კარგი. მაგრამ ისიც ვიცით, რომ თუმცა მთელს ევროპაში კონსტიტუცია არის, მაგრამ ხალხის მდგომარეობა მაინც კიდევ ისეთი არ არის, როგორიც სანატრელია და როგორიც უნდა იყოს. ხალხი მაინც ისეთს გაჭირვებაშია, რომ თითქმის ყოველი სახელმწიფო იმ ზრუნვაშია არეულობა რამ არ მოხდეს ჩემ ხალხშიო და ხალხი არ გამიდგესო. რად უნდა იყოს ეს?

ყველა კონსტიტუცია იმ გვარად არის შედგენილი, რომ ბევრი გასაძვრენ-გამოსაძვრენი ადგილები აქვს ჩაყოლილი. მაგალითებრ კონსტიტუციის ძალით ხალხს ეძლევა უფლება იყოლიოს თავის წარმომადგენელი კანონთ-მდებელს პალატაში. აბა ამაზედ მეტი სიკეთე რაღა იქნებაო, იტყვიან. მაგრამ ამას მოსდევს ის კანონიც, რომ თუ კაცს ამდენი და ამდენი ქონება არ ექმნებაო, იგი ან თვითონ ვერ ამოირჩევა წარმომადგენელათაო და ან სხვას ვერ ამოირჩევსო. გამოვიდა რომ ის ხალხისათვის მინიჭებული არჩევანის უფლება ფრთა მოკვეცილია და შორს ვერ წავა.

ეს ზემოხსენებული აზრები წინ წავიმძღვაროთ და ვნახოთ რას უქადის სლავიანებსა და თვით ოსმალებსაცა ეს ახლად დაბადებული კონსტიტუცია.

კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთი უნდა გახდეს იმ სახისა და ღირსების სახელმწიფოთ, როგორც ყოველი ევროპიელი სახელმწიფოა. ეხლა იგი ევროპიელთა სახელმწიფოთა შორის იმისთანავე საპატივო ოჯახის-კაცია, როგორც სხვანი. გარდა ამისა სახელმწიფო სიმტკიცე და ერთობა განუძლიერდება, სხვა და სხვა ნაწილთა შორის კავშირი შემაგრდება, იმიტომრომ კონსტიტუცია ყველას ერთს გზაზედ და ერთს უფლებაზედ დააყენებს. არც სლავიანებსღა ექმნებათ მიზეზი გაცალკევდნენ და არც ოსმალებსა, რადგანაც ორნივ ერთ გვარ ქვეშევრდომად არიან აღიარებულნი კონსტიტუციის ძალითა. ერთის სიტყვით, იმედია რომ ოსმალეთის სახელმწიფო ორ მტრად გადაკიდებულ ნაწილად აღარ იქმნება გაყოფილი, როგორც აქამომდე იყო; ესე იგი იმ ორ ნაწილად, საცა ერთი ნაწილი განუსაზღვრელი მფლობელი იყო და მეორე ხმა წართმეული და ღონე მიხდილი მონა. სლავიანების ბედი ამით იგებს რასმეს თუ არა, ეგ ღმერთმა უწყის. იქმნება იმათ უარესი დღეც დაადგეთ, რადგანაც რასაც აქამდე ოსმალეთი მათს თავზედ კაკალს ამტვრევდა, მტარვალობის განძვინებას მიეწერებოდა ხოლმე,—და მით უშფოთებდა და უმღვრევდა გულს ევროპასა რომ ამ გვარს საქციელს არა ვითარი კანონიერება და საბუთი არ მიუძღოდა. შესაძლოა სლავიანებს იგივე გაჭირვება დაადგეთ კონსტიტუციის შემდეგაც, იგივე მწუხარება,—და განსხვავება მხოლოდ იმაში იქმნება, რომ ეხლა ამ გვარს ყოფას კანონის სახელი დაედება. იტყვიან, ჩვენის ხალხის წარმომადგენელთა ესე განაწესესო და ხალხის ნებას არ ეღალატებაო. ამით ევროპის შუამდგომლობასაც ბრიჭა აეკვრის, რადგანაც აღარ ექმნება მიზეზი გაერიოს ოსმალეთის შინაურს საქმეში. ადვილად შესაძლოა, რომ სლავიანები იმავე ბედში ჩაცვივდნენ, რა ბედშიაც ევროპიის ბოგანა-ხალხი (პროლეტარი) იმყოფება. იმედია რომ ოსმალეთი ბეჯითად და ზედმიწევნით გადიტანს თავის ქვეყანაში ევროპიის ცივილიზაციას და მაშინ ევროპას თამამად ეტყვის, თუ ევროპა მის საქმეში გარევას მოინდომებს: მე ვარ ხორცი ხორცთა თქვენთაგან და ძვალი-ძვალთა თქვენთაგან. თქვენში რამდენიმე მილიონი ხალხი ლამის შიმშილით გაწყდეს და ამის გამო რატომ ურთიერთის შინაურ წყობილების საქმეში არ ერევით. მარტო მე რაღას ჩამციებიხართო.

რომ ჩვენი აზრი უფრო ცხადი იყოს მკითხველთათვის, საჭიროა რამდენიმე სიტყვით განვიმეოროთ სლავიანთ-ოსმალეთის საქმის არსებითი საგანი. განსაკუთრებითი და გულითადი წადილი სლავიანებისა ის იყო, რომ სრულიად განთავისუფლებულიყვნენ და თავი დაეხსნათ ოსმალეთისაგან. ეს წადილი სრულიად განონიერია, . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . აქეთ მიმართეს სლავიანებმა თვისი ვედრება, იქით მიმართეს, მაგრამ ვერსაიდამ ვერ მოიპოვეს ნამდვილი შემწეობა. ევროპიის სახელმწიფონი თითქო ამას ეუბნებოდნენ: „ჩვენ თანავუგრძნობთ თქვენს წადილსა თავისუფლებისას, მაგრამ თქვენის განთავისუფლების შემდეგ არ ვიცით რა გიყოთ; ისე ხომ ვერ გაგიშვებთ დაუდგრომელის ბედის ანაბარად, ხომ უნდა ეკუთვნოდეთ ვისმეს, ესეა ამ ქვეყნიერებაზედ. ვის დაგაკუთნოთ, არ ვიცით“. ოსმალეთი მიუხვდა ამ ევროპიის გულის-ზრახვასა და აი რა ხრიკი უგდო თავის რიგზედ ევროპასა: დამაცათ, მე თქვენს ია-

რაღსჳე ვისმარებო. არც სლავიანებს გაუშვებ ხელიდგანაო და თქვენც ხელიდამ გამოგაცლით მიზეზს ჩემს საქმეში წამ და უწუმ წამოჩხირებისასაო." ასხენა ღმერთი და გამოაცხადა კონსტიტუცია.

რომ ოსმალეთი ევროპაზედ ნაკლებ არ მოისმარებს ამ იარაღს, ესე იგი, რომ მისი კონსტიტუცია ფუჭი სიტყვა არ იქმნება, ამას ცოტად თუ ბევრად გვიმტკიცებს სტამბოლის კორესპონდენტი „Indépendance Belge"-ისა. აი რას იწერება ოსმალეთის პარლამენტის შესახებ:

„ოსმალეთის პარლამენტი ეხლა სიზმარი აღარ არის, ეხლა იგი ხორც-შესხმული სულიერია, ცხადად თვალწინ წარმომდგარი. ჩვენ იგი ჩვენის საკუთარის თვალით ვიხილეთ, ჩვენ მისი ხმა საკუთარის ყურით მოვისმინეთ. ჩვენ დავესწარით მის პირველს საჯაროს (публичный) ურილობას, თუ ეს ეთქმის იმ გვარს ურილობას, სადაც, პარლამენტის წევრთა გარდა, მხოლოდ თვითო-ოროლა წარჩინებული კაცი მოწვეულ იყო ცალკე ბარათებითა. ამათ შორის იყვნენ უცხო ქვეყნების ელჩთა დრაგომანები (მთარგმნელნი), გამოჩენილი ბანკირები და სოვდაგრები, ადგილობრივის და უმაღლესის თანამდებობის-კაცნი და სხვანი. პალატის წევრნი თითქმის სრულად მოგროვილიყვნენ, არ მოსულიყვნენ მხოლოდ წევრნი ბაღდადიდამ, ბასსორიდამ და ტრიპოლიდამ.

გაიხსნა პალატი თუ არა, პალატის მეთაურმა (პრეზიდენტი) წარმოსთქვა სიტყვა, მიულოცა დეპუტატებს ეს ახალი წოდებულება და აუხსნა იგი მძიმე მოვალეობა, რომელიც მათ თავს უნდა იდვან თავისის ქვეყნის წინაშე. შემდეგ ამისა წარმოდგენილი იქმნა გასარჩევად და დასამტკიცებლად წესდებულება მასზედ თუ რა წესით უნდა იმოქმედოს პალატამ თავისის საქმეთა წარმოებაში. პირველი ოთხი მუხლი ამ წესდებულებისა სწრაფად გაირჩია და დამტკიცდა. რაკი საქმე მიდგა მეხუთე მუხლზედ, მაშინ დიდი, გრძელი და გაცხარებული ბაასი გაიმართა. ამ მუხლში მოხსენებული იყო, რომ ვისაც სურს გამოიწვიოს პასუხის საგებლად რომელიმე მინისტრი მის მოქმედების შესახებ, მან ეგ გამოწვევა წერილით და არა სიტყვით უნდა მოახდინოს და პალატას წარუდგინოს. ჯერ პალატამ უნდა იგი გამოწვევა ღირსეულად ჰსცნოს და მერე მინისტრმა, რომელსაც გამოწვევა შეეხება, ნება უნდა დართოს. ბევრმა დეპუტატი წინააღუდგა ამ მუხლსა, *) ბევრმა წარმოსთქვა ამ მუხლის წინააღმდეგი აზრი. დეპუტატნი ლაპარაკობდნენ დიდის გამჭრიახობით, მართებულად და დარბაისლურად. ეს მით უფრო საოცარი იყო, რომ მოლაპარაკენი იყვნენ მიყრუებულის ადგილებიდამ მოსულები და ამის მეტად არსად შემთხვევა არა ჰქონიათ ამისთანა საბჭო კრებაში დასწრებისა. ერთმა მოლამ დიდი მჭევრ-მეტყველობა გამოიჩინა. ამან სხვათა შორის სთქვა: „თუ მართლა რაიმე საჭიროება მოითხოვს, რომ ეგ გამოწვევა ჯერ პალატისაგან ღირსად ცნობილი უნდა იქმნას და მერე მინისტრისაგან ნება დართული, — ისა ჰსჯობია სრულაც არ იყოს.

ჯერ პალატი წოობა-წყობად არ არის დაყოფილი; ჯერ არც მემარჯვენი არიან, არც მემარცხენი და არც მეშუენი, მაგრამ ერთმანეთს შორიდამ ანიშნებდნენ ხოლმე რა საგანზედ როგორ უნდა მოიქცნენ. მეხუთე მუხლის თაობაზედ კენჭი ჩამოატარეს და გადაწყვიტეს, რომ ეგ საგანი ხელმეორედ გაირჩიოს შემდეგს კრებაში. ყოველი დეპუტატი ისე წესიერად, მართებულის ღირსებით, დარბაისლობით იქცეოდა, რომ ცხადი იყო მათ ცნობილი აქვთ თავისის მოვალეობის უაღრესობა. ქრისტიანთა დეპუტატნი მაჰმადიანთა დეპუტატებზედ უფრო ნაკლებ ლაპარაკობდნენ. ჩვენ თვალ წინ გვედგა მაგალითნი იმპერიის შორეულისა და მიყრუებულის ადგილებისა, მაგალითად, დიერბიკერის დეპუტატნი. მათი მიხრა-მოხრა, მათი ყოფა-ქცევა, რიგიანობა და მასვილ-გონიერება ჩვენც კი ევროპიელთ გვიკვირდა. ევროპას დიდად ცდომილი აზრი აქვს იმ აზიელებზედ, რომელთაც არ მოხვედრიათ ხსივი ახალის ცივილიზაციისა".

---

*) უფლება პასუხის საგებლად გამოწვევისა (право запроса) მეტად ძვირ-ფასი რამ არის პარლამენტის წოდებისათვის, მეხუთე მუხლი, რომელზედაც კორრესპონდენტი მოგვითხრობს, ცხადად გვაჩვენებს, რომ მით მთავრობას სურვებია ამ უფლებას გზა დაუხლართოს და როგორმე ფრთა მოჰკვეთოს. მაგრამ როგორც ეტყობა, ამ ახლად დაბადებულს პარლამენტს გამჭრიე და შორ-მხედველი კეთილ გონიერება ჰქონია.

---

## საქართველოს მატიანე

ამიერ-კავკასიის სამოქალაქო მმართველობის შემოსავალ-გასავალი. — 1876 წლის შემოსავალი ყოფილა — — — — — — — — 7,006,253მან.

1877 წელს მოელიან — — — — 7,272,982 —

შარშანდელზედ მეტია — — 166,729 —

გასავალი; 1876წ. ყოფილა. — — — 7,307,261მან

აქედამ ადგილობრივის შემოსავლიდამ დაფარულა: — — — — — — } 7,106,259 —

და სახელმწიფო ხაზინიდამ: — — — 201,008 —

1877 წლისათვის გადადებულია:
ადგილობრივის შემოსავლიდამ — — 7,230,381 —
და სახელმწიფო ხაზინიდამ — — — 121,828 —

გასავალი შარშანდელზედ მეტია — 44,948 —

I ამიერ-კავკასიის სასწავლებელთათვის წელს გასავალი დანიშნულია სულ ერთიანად — — 510,471 მ.
შარშან იყო დანიშნული: — — — 502,855 —

წელს შარშანდელზედ მეტია — 7,616 —

წლევანდელის გასავლიდამ დანიშნულია:
1) გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და რეალურთა სასწავლებელთათვის — — — — 345,670 —
შარშან იყო — — — — — — 343,131 —

წელს მეტია შარშანდელზედ — 2,539 —

2) საქალაქო, სამაზრო (უეზდისა), პირველ დაწყებითისა და სასოფლო სასწავლებელთათვის — 94,770 —
შარშან იყო — — — — — — 90,972 —

შარშანდელზედ მეტია — — — 3,798 —

3) სხვა და სხვა სასწავლებელთათვის — 70,031 მ
შარშან იყო — — — — — — 68,755 —

II სასამართლოებისათვის (судебное вѣдомство) წელს დანიშნულია — — — — 1,016,171 —
შარშან იყო — — — — — — 883,573 —

წლევანდელი შარშანდელზედ მეტია 132,594 —

III გამიჯნავების თანამდებობის კაცთა და თვით გამიჯნავებისათვის წელს დანიშნულია — 197,653 —
IV გზების საკეთებლად: — — — — 63,741 —
V სასულიერო წოდებათა ჯამაგირთათვის 59,449 —

დანარჩენი გასავალი სხვა და სხვა საგანთა შეეხება, რომელნიც აქ არ მოგვყავს. საზოგადოდ გასავლის სქემიდამა ჰსჩანს, რომ ზოგიერთში გასავალს წელს უმატნია 287,805 მანეთამდე და ზოგიერთში უკლია 242,857 მანეთამდე. რადგანაც მთელი გასავალი შეადგენს სულ 7,230,381 მან. შემოსავალი ადგილობრივთა წყაროთაგან 7,272,982 მან. და სახელმწიფო ხაზინიდამ 121,828 მ. ამისგამო წელს, გასავალს გარეითად, ძირს უნდა დარჩეს 41,866 მანეთი.

— ჩვენ გვაუწყებენ სანდო პირნი, რომ უფ. ლისანოვს ქართულის ენის სწავლების შესახებ ამისთანა დარიგება მიუცია ზოგიერთის მასწავლებლისათვის: 1) შეიძლება ქართული ენა ასწავლოთ მხოლოდ პირველს ორს სამს თვეს და რაკი მოწაფენი გაიცნობენ ასოებს მაგ ენის სწავლება უნდა მოიკვეთოსო; 2) თუმცა ეს ცოდნა ცოტაა, მაგრამ მე ეგ ცოდნაც საჭიროდ არ მიმაჩნიაო და ამიტომაც სასწავლებლის გახსნის დროს მე ქართულ ენაში მოწაფეებს არ გამოვცდიო; 3) სასწავლებელში უნდა ჰქონდეს ადგილი მხოლოდ რუსულს ენასაო, ამიტომაც ქართულად სახარების კითხვაც სასწავლებელში თქვენთვის ამიკრძალავსო. თუ ჰსურთ მოწაფეებს შინ, სასწავლებლის გარედ, იკითხონ ქართული სახარება. რადგანაც ეს ასე უნდა იყოსო, თვითო სასწავლებელში თვითო სახარების მეტი საჭირო არ არის და არც გამოგიგზავნითო.

მართლადა ესეც მოუხდენია უფ. ლისანოვსა. თვითო სასწავლებლისათვის თვითო სახარება გაუგზავნია, „დედა ენა“ თებერვალში მოუწვდია მარტო თიანეთის სასწავლებლისათვის, ისიც ორიოდე წიგნი; სხვაგან კი არც "დედა ენა" და არც სხვა ქართული წიგნი თვალითაც არ უნახავთ. შარშან შემოდგომაზედ არც ერთს სასწავლებელს არც ერთი ქართული წიგნი, არც საკითხავი, არც სამოსწავლო არ მისვლიათ.

— ჩვენ გვაუწყებენ, რომ ერთ სოფელში მეტყევე (лѣсничій) ბევრს უკუღმართობას კადრულობსო და ხალხი შეწუხდაო. კორრესპონდენტი გვწერს: „აი მობძანდება მეტყევე სოფელში, თან მოსდევენ რამდენიმე ცხენოსანი, ტყის მცველნი. უცხო კაცს ეგონება ხონთქარი დაძრულა თავისის ტახტიდგანაო. მოვიდნენ სოფელში, წინ მოეგებებიან მამასახლისი და მსაჯულნი და რამდენიმე კაცნი, რომელთაც ნაწყენი აქვთ მეტყევეს მობძანება, რათა მამასახლისმა მოუმზადოს სახლი და სოფელში მოაგროვოს ჯეროვანი სურსათი. აი დარბიან გზირები კარიკარს, მეტყევესათვის და მისის ამალისათვის აგროვებენ ღვინოს, პურს, ქათმებს, ინდოურებს, ქერს და ბზესა იმ ზომით, რომ არამც თუ მეტყევეს და მის ამალას ეყოფა, არამედ მამასახლისი და გზირები ერთს თვეს იკვებებიან. ამასაც ხომ არ ჰსჯერდება უფალი მეტყევე. მამასახლისს უბძანებს საშინაოდაც ბზე მომიგროვე და გამომიგზავნეო. თუ გლეხს ერთი ურემი შეშა ბარათზე გადაჭარბებული გამოუტანია, თვითონვე ახდევინებს ჯარიმას იმდენს, რამდენის სურვილიცა აქვს და ამაში არა რაიმე კვიტანციას გლეხს არ აძლევს. ეს ჩვენი მეტყევე გასაოცარი რამ სანახავია, როცა გადაკრულია. ვაი იმ გლეხს, რომელიც მაშინ შეხვდება და ქუდს არ მოუხდის!....მოსდგება და მათრახით აეჭრელებს.“

— სხვათა მთავრობის განკარგულებათა შორის გაზეთი „კავკასი“ (№ 54) იხსენიებს, რომ კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესს სამართველოს ამ წლის მარტის 24 დღეს მოწმობა მიუცია ოქროს მადნის საძიებლად თ. კირილე ბეჟანისძე ლორთქიფანიძისათვის და აკაკი როსტომისძე წერეთლისათვის.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ სიღნაღში აპირებენ ერთის საზოგადოების შედგენას, რომელსაც საგნად ექნება მოიპოვოს სხვა და სხვა საიმედო სახსარი საქალო სასწავლებლის გასახსნელად. ამ ჟამად ოც-და-ათ კაცს გამოუცხადებია სურვილი, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ კეთილს საქმეში. ამასთან ისიც გვითხრეს, რომ იქაური სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელნი ჰპირდებიან თავის შრომას ჯერჯერობით სრულიად უსასყიდლოდ. სულით და გულით ვისურვებთ ამ მშვენიერის ჰაზრის სისრულეში მოყვანას და საქმის კეთილად წარმართვას. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენის საზოგადოების გულმტკივნეულობამ შესაწევარი რამ გაიმეტოს ამ ქველას საქმისათვის.

---

## თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი

### I.

ჟამნი რბიან, შენცა მელტვი,
ჰოი სულ გრძელო საყვარელო!
როს მომიხვალ, როს დამატკბობ,
ეჰა წამო სანატრელო?

ბაგე ვარდო, ნამით სველო
სუნნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს,
ჰოი სპეტაკო ზამბახთ ველო!

ცრემლნი ჩემნი ალს გულისას
ვერად აკლებს ძალსა წვისას;
ეს ცეცხლი ვერვინ აქროს
არ თუ შენვე, ალმგზნებელო!

ბაგე ვარდო, ნამით სველო
სუნნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს,
ჰოი სპეტაკო ზამბახთ ველო!

მზეს მიხედე, მარად დილით,
ცრემლს ვით უშრობს მდელოთ სხივით...
დილა ჩემი როს გათენდეს,
პირო ბადრო და ნათელო!

ბაგე ვარდო, ნამით სველო,
სუნნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს,
ჰოი სპეტაკო ზამბახთ ველო!

თვალნო, რაზომ ღვრიდეთ ცრემლთა,
გმართებსთ მისთა ვერ მჭვრეტელთა!...
გონებაო, შენ რად შმაგობ,
მისგან განუშორებელო?

ბაგე ვარდო, ნამით სველო,
სუნნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს,
ჰოი სპეტაკო ზამბახთ ველო!

გავს ნამდვილი ტრფიალებს
მოშორებით არ განქრება;
რაზომ მელტვი, უფრო გეტრფი,
სახილველად სასურველო!

ბაგე ვარდო, ნამით სველო,
სუნნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს,
ჰოი სპეტაკო ზამბახთ ველო,

საუკუნოდ გინდ პყრობილი
უწამლოდ ჰკვნესდეს კოდილი;
ტანჯვისათვის ვინ თქვას „შაბაშ!“
თვით განსაჯე, ულმობელო?

ბაგე ვარდო, ნამით სველო,
სუნნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს,
ჰოი სპეტაკო ზამბახთ ველო!

### II.

შენთან არს გული, მნათობო, ვიყო სად გინა,
გინა ვის ვჭვრეტდე, მნათობო, შენ მიდგა თვალ წინა.
ან მე ვით არ მიჭირდეს, შენს მტრფობს ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს, ჩემს მცნობს ჩემგან ეს გრძნობა.

ოდეს ღიმილი, მნათობო, განგიპობს ლალთა,
მარგარიტთ მჭვრეტელთ, მნათობო ვეშურვი თვალთა.
ან მე ვით არ მიჭირდეს, შენს მტრფობს ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს, ჩემს მცნობს ჩემგან ეს გრძნობა?

როს ხაროს რხევა, მნათობო, წარმომიდგების,
ცნობა მელევის, მნათობო, ოსვრა ხშირდების.
ან მე ვით არ მიჭირდეს, შენს მტრფობს ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს, ჩემს მცნობს ჩემგან ეს გრძნობა?

ბროლის ფიცრისა, მნათობო, მახელებს ხსოვნა,
მომკლა ძებნამან, მნათობო, და სად არს პოვნა?

ან მე ვით არ მაჭირდეს, შენს მტროვობს ესრედ თმობა?
ან შენ რად გოკვირდეს, ჩემს მცნობს ჩემგან ეს გრძნობა?

აწ ჭრქვი ფერობილს, მნათობო. თუ რასა ჭვრეტდი?
სურვილსა მისსა, მნათობო, ვერ ეხების ხვედრი....
ან მე ვით არ მაჭირდეს, შენს მტროვობს ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს, ჩემს მცნობს ჩემგან ეს გრძნობა?

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

ႠႶႫႭႱႠႥႪႤႧႨႱ ႱႠႵႫႤ.—უპირატესთ სახელმწიფოებს მოუწერიათ ხელი სიგელზედ (პროტოკოლზედ), მაგრამ გამოვა რამე აქედგან, თუ არა, ეს კი არავინ იცის. მხოლოდ ის კი იციან, რომ რუსეთი მარტო მაშინ დაშლის თავის ჯარს, როდესაც ორი პირობა აღსრულებული იქმნება: ოსმალეთი უნდა შეურიგდეს და დააკმაყოფილოს ჩერნოგორია და დაშალოს თავისი ჯარი. შესაძლებელია თუ არა ოსმალეთისათვის ან ერთისა და ან მეორის აღსრულება? გამარჯვებული ჩერნოგორია თხოულობს, რასაკვირველია, იმისთანა ჯილდოს,—სხვათაშორის ქალაქს ნიკშიჩს,—რომლის მიცემა ოსმალეთს ეთაკილება და ემძიმება, მეორის მხრით, რად დაშლის ოსმალეთი თავის ჯარს, თუ კი ზურგთ-უკან ეგულება დიდძალი ჯარი რუსეთისა. ამის გარდა, ოსმალეთმა კარგად იცის, რომ ევროპიის დიპლომატია მხოლოდ დროს გატარებას მიეცემა და თავს გაირთობს სხვა და სხვა სიგელების წერით და კონფერენციებითა; კარგად იცის, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის თანხმობა სრულებით არ არსებობს, და არც იმედია რომ ურთიერთი დაიყოლიონ და ერთს გადაწყვეტილებაზედ დადგნენ. ამისგამო „ევროპიის კონცერტი“ ფუჭი სიტყვაა. ოსმალეთი არამც თუ არ შლის თავის ჯარს, არამედ აი რას იწერება სტამბოლიდგან რუსულის გაზეთის „Голосъ“-ის კორრესპონდენტი: „ოსმალეთის მინისტრები დიდ მზადებაში არიან ომიანობისათვის. დერვიშ-ფაშისთვის მიუწერიათ, რომ ყოველ ჟამს მზათ იყოს ჩერნოგორიასთან ომის გასამართავად. სტამბოლიდგან გაგზავნეს დეპეშა, რომ დაამზადონ ჩერქეზები. თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, ოსმალებს განზრახვა აქვთ სერბიასაც დაეცნენ“.—

— იმედი აქვთ, რომ ოსმალეთის მთავრობა მაშინ გაგზავნის დესპანს ჯარის დაშლის თაობაზე მოსალაპარაკებლად, როცა მოუვა ხსენებული სიგელი. მაგრამ საეჭვო კია, რომ დესპანი გაგზავნოს ოსმალეთმა, რადგანაც ყოველივე ეს სათაკილო საქმეთ მიაჩნია.

— რუსულს გაზეთს „Новое Время“ სტამბოლიდამ სწერენ, რომ ოსმალეთი უარჰყოფს მისდა მინაურს საქმეში უცხო სახელმწიფოთა გარევას.

— ამავე გაზეთში იწერებიან ვენიდგან, რომ თუმცა სიგელს (პროტოკოლს) ხელი მოაწერესო, მაგრამ აღმოსავლეთის საქმის მშვიდობიანად დაბოლოებისა იმედი არ არისო, ომი აუცილებელიაო. ოსმალეთი უარჰყოფს სიგელს და არ მოურიგდება ჩერნოგორიასაო.

---

ႠႥႱႲႰႨႠ-ႥႤႬႢႰႨႠ.—ავსტრიის სლავიანები ძალიან დაფიქრებულან თავის მომავალ სვე-ბედზედ, მეტადრე ის სლავიანები, რომელნიც სცხოვრობენ გერმანიის მეზობლად. ავსტრიის იმპერიას, როგორც მოგეხსენებათ, თვალი უჭირავს სამხრეთ-დასავლეთზედ, იმიტომ რომ თუ გაიმარჯვებს რასმეს როდისმე, ამ მხრით არის მარტო შესაძლო, თორემ გერმანიას იგი ვერას გამოჰრჩება. გერმანიას ხომ თავის მხრით, საღერღელი დიდი ხნის აშლილი აქვს გადიდებისა და გავრცელებისათვის. მისი მეზობლები სლავიანები, სახელდობრ, ჩეხები ძალიან შიშობენ გერმანიის სვაგმა არ გადაგვყლაპოსო. უკანასკნელ დროს ხმა გახშირდა თურმე, რომ ჩეხია სცდილობს დაუმეგობრდეს პრუსიას და მით შეაშინოს ავსტრიის მთავრობა, რომლის ქვეშევრდომად იმყოფება სხვათაშორის ჩეხიაც. ეს ხმა ისმის განსაკუთრებით მველ-ჩეხიის დასიდგან. გერმანიას, რასაკვირველია, უხარიან ეს ამბავი. მაგრამ ჩეხიის ახალმა თაობამ, გაიგო ეს თუ არა, მაშინვე დაიწყო ქადაგება მასზედ, თუ რა უგუნურებაა ეს პრუსიასთან დამეგობრება; რომ პრუსია მათთვის უფრო საშიშია; რომ მისი მეგობრობა სამწუხარო მომავალს მოასწავებს ჩეხისთვისო. „აბა რა ჭკუაში მოსასვლელია, მცირე შიშის თავიდგან აცილებისათვის ადამიანი უფრო უარესს ვაი-ვაგლახს მიეცესო. მგლის კბენისგან გადარჩენისათვის რომ გაცმა ლომს ჩაუდოს პირში თავი, სწორეთ ეს არის თქვენი საქმეო“. მის დასამტკიცებლად, რომ ეს გერმანიის მეგობრობა სრული უგუნურებაა, ახალს თაობას მაგალითად მოჰყავს შლეზვიგი, რომლის დამოუკიდებლობა სრულებით მოსპო გერმანიამ,—მოჰყავს ელზას-ლოტარინგია, რომელიც მალად ჩაიგდო ხელში და, რომელშიაც ხალხის განემეცებას დიდად ცდილობს!

---

ႢႤႰႫႠႬႨႠ.—ბისმარკს სამსახურიდგან გამოსვლა უთხოვნია, მაგრამ იმპერატორმა უარჰყო მისი თხოვნა და მხოლოდ დროებით დაითხოვა. ამ საქმის ნამდვილი მიზეზი ჯერ არ არის ნაცნობი. ეს კია, რომ ბისმარკსაც შავი დღე დასდგომია.

ბერლინშიაც, როგორც სხვა ევროპიის დიდ

ქალაქებში, მუშა ხალხში დიდი არეულობა და უკმაყოფილობაა, რადგანაც სამუშაოს ვერ ჰპოვებენ: სარეწავობა და აღებ-მიცემობა შეჩერებულია,—არ იციან რას მოასწავებს მომავალი. ალექსანდრეს მოედანზე, ბერლინში, რამდენჯერმე შეიყარა დიდძალი მუშა ხალხი, მშიერი, მწყურვალი, და სამუშაოს და შემწეობას თხოულობდა. პოლიცია და ჯარი, რასაკვირველია, იქვე დასწრობია.

—

**საფრანგეთი.**—ორივე პალატა, სენატი და დეპუტატთა პალატა ამ ჟამად, საუფლო დღეების გამოისობით, არა საქმობენ და არც ისაქმებენ პირველ მაისამდის, ჩვენებურად, 19 აპრილამდე.

საწყალი საფრანგეთი! ამ შვიდ წლიწადში მისნი უკეთესნი შვილნი მხოლოდ იმ ზრუნვაში არიან, რომ ამ ახლად დაბადებულს რესპუბლიკას როგორმე ძირი გაუმაგრონ, ფესვი ღრმად განზედ გაადგმევინონ. იმის ცდაში არიან ეს რესპუბლიკა ხელიდამ არ გამოგვაცალონო და არ დაგვიხრჩონო. ამათი დრო და ფიქრი ამაზედ ივარგება და რასაკვირველია სხვა საქმეებისათვის აღარც დრო აქვთ და არც მოცალეობა. მათდა საუბედუროდ საფრანგეთს შინვე ბევრი მტერი ჰყავს. საფრანგეთში არის ერთი დასი (პარტია), რომელსაც ჰსურს, რომ არაფერი არ კეთდებოდეს, არაფერი არ ჰსწორდებოდეს და თავდებოდეს, რომელიც სცდილობს ყველგან შფოთი და არეულობა ჩამოაგდოს და ამით გაუტეხოს რესპუბლიკას სახელი. ამ დასს ბევრი ძლიერი შემწე ჰყავს. სენატის წევრთა უმრავლესობა ამ დასისაა, ამ დასის მომხრენი მოიპოვებიან თვით რესპუბლიკის პრეზიდენტის საბჭოშიაც, გარდა ამისა ამ დასს ეკუთვნის ორი მესამედი მთავრობის მოხელეთაგანი. ამის გამოისობით, პარლამენტის მოქმედებას დიდი სიფთხილე და წინ დახედვა სჭირია. ეს გარემოებაა, იმის მიზეზი რომ წარსულმა პარლამენტმაც ცუდ გუნებიანად და უოუმანობაში გაატარა დრო. პარლამენტის პირველი ხანა გათავდა კიდეც, მაგრამ მათ მოღვაწეობას არავითარი მტკიცე და გადაწყვეტილი სახე არ მიჰსცემია.

ყოველ ამის მიზეზი კარგად იციან პოლიტიკის კაცებმა, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა ესე იგი, ხალხი ცოტად თუ ბევრად სიბნელეშია და ისე ნათლად ვერ ხედავს, ვერ არჩევს ვინ არის მისი ნამდვილი მტერი და მეგობარი, ანუ ვისი ბრალია რომ პარლამენტი ბევრს არას აკეთებს და თითქმის ერთს ალაგს ტრიალებს. ამ გაუგებლობით და ხალხის უსინათლობით სარგებლობენ ზემოხსენებულის დასის კაცები და მახეს უგებენ რესპუბლიკას, უნდათ დაიჭირონ და სული ამოართონ. წამ და უწუმ ყვირიან: „რესპუბლიკა უძლურია, მისი მოღვაწენი სრულებით უნიჭონი არიან". ცოტადა უკეთ რომ დაიძახონ: „საფრანგეთი დაღონებულია და მოწყენილი, რადგანაც მუდამ დღე გასართობს და გასაოცარს სეირს არ აყურებინებენ. (ნაპოლეონის იმპერია და მისი გარეგანი თვალ დასაბრმავებელი ბრწყინვალება ხომ გეხსომებათ!). ამ ყვირილით სურთ ხალხს თვალები აუხვიონ, ხალხის თვალი მოარიდონ თავიანთ ქვეშქვეშობას და ფაც-ფუცს, რესპუბლიკის დარღვევისათვის მომართულს.

თუმცა ამ დასის კაცებს ერთგვარი გულის წადილი არა აქვსთ და სხვა და სხვა ბედს უქადიან საფრანგეთს, მაგრამ მათ შორის სუფევს ერთი მიდრეკილება, რომელიც ყველას საერთოდ ეკუთვნის. ეს არის—რესპუბლიკის სახელის გატეხა, მისი დარღვევა და მონარხიის დაარსება. რა ნაირი იქმნება ეს მონარხია, ესე იგი ტახტზე ვინ აბრძანდება—ბურბონიელი, ორლეანელი, თუ ბონაპარტიელი—ჯერჯერობით ამის ფიქრში არ არიან. აი, როდესაც ხალხს რესპუბლიკის სასოება გაუწყდება, როდესაც რესპუბლიკის სახსენებელიც აღარ იქნება და საერთო მტერი აღარ ეყოლებათ, მაშინ დაიწყობა მონარხიელთა ურთიერთშორის ბრძოლა საფრანგეთის ტახტისათვის.

აი ამ საერთო მიდრეკილებაში მდგომარეობს ის შიში, რომელიც მოსდევს მონარხიელთა ბოროტს მოღვაწეობას და ეგ საფრანგეთის პირდაპირი ღალატის.

როცა მათ მხარი არ ჰქონიათ მიცემული ერთიერთმანერთი და მათ შორის შფოთი და უთანხმობა იყო, მონარხიელნი სრულებით უშიშარნი იყვნენ რესპუბლიკისათვის. მაგრამ რა კი შეერთდნენ ესლა, რესპუბლიკის მომხრე კაცებს დიდი სიფრთხილე სჭირიათ. მონარხიელთა ქადაგება მეტადრე ამ ჟამად არის საშიში, როდესაც პარლამენტი დროებით დაიშალა და მისი წევრნი პირდაპირ მისვლა-მოსვლას შეუდგებიან თავის ამომრჩეველებთან; საშიშია მეთქი, იმიტომ რომ შემოდგომით დეპარტამენტებისა და მუნიციპალის საბჭოთა წევრნი ახლად უნდა ამოარჩიონ, და როგორც მოგეხსენებათ *) ეს წევრნი მიიღებენ მონაწილეობას სენატორების ამორჩევაში, რომელთა მესამედი ნაწილი იცვლება ყოველ სამს წელიწადს, (ე. ი. 1879 წ. იქმნება სენატორთა მესამედის რიცხვის ახალი არჩევანი). მაშასადამე შემოდგომის არჩევანს დიდი მნიშვნელობა ექმნება საფრანგეთის მომავალ საპოლიტიკო ცხოვრებისათვის და უშველია მონარხიელთა დასის კაცები დიდს მეცადინეობას იხმარებენ, რომ ამ არჩევანში თავისი მომხრენი

---

*) იხილე „მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწ." ამ ნომერში.

გაიყვანონ, არ ამიტომაც მოგახსენეთ, რომ მათ ქადაგებას მეტადრე ამ ჟამად დიდი შიში და სიფრთხილე მოსდევს.

გადავხედოთ ახლა რა იარაღი უპყრიათ მათ ხელში თავის საქმის გასატანათ.

პარლამენტში იმათ, რასაკვირველია არაფრის გაკეთება არ შეუძლიანთ; მათ მხოლოდ შეუძლიანთ სხვებს დაუშალონ და დააბრკოლონ სხვისგან დაწყებული საქმე. მაგრამ პარლამენტის გარე, ხალხში, დეპარტამენტებში კი სხვა არის. მათის ჟურნალ-გაზეთების მეოხებით, მათთა აგენტებთა ოსტატობით და მეტადრე მთავრობის მოხელეთა შემწეობით, რომელთა შორის ბევრნი მათივე მიდრეკილებისანი არიან, ყველა ამა შეწეობით მონარხიელთა მოღვაწეობისათვის დიდი ფართო გზაა გაშლილი. ამ ჟამად საფრანგეთის საპოლიტიკო ცხოვრების ძარღვი პარლამენტში კი არა, დეპარტამენტში და სოფელშია. ამავე ალაგს უნდა მიმართონ რესპუბლიკის მოყვარეთაც თავიანთი ბეჯითი მოღვაწეობა ამ ჟამად. დიდი სიფრთხილე სჭირიათ მათ და დიდი ჯაფა, რადგანაც მათი მტერი, მონარხიელთა დასი, დიდ ჯაპან წყვეტაშია, დიდს ცდაშია, თითქო სიკვდილს ებრძვის და თუ თავისი არ გაიყვანა ეს ეს არის სულსაც დალევსო. იგინი სცდილობენ დაუახლოვდნენ სამღვდელოთა, რადგანაც კარგად იციან რომ მათ დიდი გავლენა აქვთ საფრანგეთში; სცდილობენ სახელი გაუტეხონ რესპუბლიკას ვაჭრებში და დაბალ ხალხში.

ამის გამოისობით საჭიროა, რომ რესპუბლიკელი დეპუტატები დაუახლოვდნენ თავიანთ ამომრჩევლებს, აუხსნან მათ მონარხიელთა მოქმედება, გააგებინონ, რომ მხოლოდ ერთი მმართველობაა, რომლისაგანაც უნდა მოელოდეს საფრანგეთი ყოველ სიკეთეს და დღეგრძელობას; რომ იგი მმართველობა რესპუბლიკაა; რომ რესპუბლიკის ქვეშ საფრანგეთი მიეცემა იმ ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც მშვიდობიანი დადგრომილია და რომელსაც არ უყვარს არც ტრაბახობა და ფართი-ფურთობა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ჭეშმარიტება და სიმართლე თავისას გაიტანს და რესპუბლიკა უფრო მკვიდრად, უფრო მტკიცედ გამოვა ამ განსაცდელისაგან.

---

## მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის

საფრანგეთი.— ახალის დროის ისტორიაში ძნელად მოიძებნება სხვა სახელმწიფო, რომელსაც მიეწეროდეს იმ რიგივე მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, როგორიც აქვს საფრანგეთს. არა ქვეყანას, არა ხალხს არ მიუზიდავს თავისაკენ იმოდენა თანაგრძნობა, იმოდენა სიყვარული, იმოდენა უნებური ყურადღება, როგორც ამ სახელმწიფოს. მის წარმატებას, მის ყოველსავე წინ წადგომას მნიშვნელობა აქვს არამც თუ მარტო თავის შინაობაში, არამედ თითქმის მთელის ევროპიისათვის. როდესაც სხვა სახელმწიფონი მიეცემიან ჩვეულებრივის ცხოვრების მდორეს დენასა, როდესაც ევროპიის საზოგადოებას არავითარი განსაკუთრებული გარემოება (როგორც ამ ჟამად—აღმოსავლეთის საქმე) არ აწუხებს და არ აღელვებს, მაშინ ყოველის კაცის ყურადღება თითქმის განსაკუთრებით საფრანგეთისაკენ არის მიქცეული, სადაც საპოლიტიკო და საზოგადოებრივი ცხოვრება დაუდგრომელ დუღილშია და უფრო განვითარებულია, ვიდრე სხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება მის მდიდარს წარსულს, მის დიდებულს ისტორიას, ამაზედ შემდეგში გვექნება დაწვრილებითი ლაპარაკი; ჯერ-ჯერობით კი მოვიხსენიებთ მხოლოდ ეხლანდელ მდგომარეობას საფრანგეთისას, იმასაც მოკლედ, მარტო იმდენად, რამდენადაც ეგ, ჩვენის ფიქრით, საჭიროა მისის მიმდინარე საპოლიტიკო ცხოვრების გაგებისათვის.

საფრანგეთის სივრცე შეადგენს 9,599 ოთხ-კუთხე მილს; მასზედ სცხოვრობს 36,102,921 სული. მცხოვრებნი საფრანგეთისა თითქმის განსაკუთრებით კათოლიკენი არიან, გარდა 715,218 სულთა, რომელნიც სხვა სარწმუნოებას აღიარებენ (პროტესტანტები, ურიები, სხვა არა-ქრისტიანენი და კიდევ ზოგიერთი იმისთანანიც, რომელთაც არავითარი სარწმუნოება არა აქვსთ). გვარ-ტომობით თითქმის ყველანი ფრანციელნი არიან; უცხო ქვეყნელთა რიცხვი, რომელნიც საფრანგეთში სცხოვრობენ, ადის 750,000-მდე. ამათ შორის 15,303 სა-

მუდამოდ გარდასახლებულან და საფრანგეთისა ქვეშევრდომობა მიუღიათ.

ამ ჟამად საფრანგეთში რესპუბლიკის მთავრობაა. რესპუბლიკა დაადგინა საფრანგეთმა 4 სეკტემბერს 1870 წ. ხალხის წარმომადგენელთა კრებამ 1873 წ. კენჭი უყარა მარშალს მაკ-მაგონს და ამოირჩია შვიდის წლის ვადით რესპუბლიკის მოთავეთ—პრეზიდენტათ (383 თეთრი და 317 შავი კენჭი მოუვიდა). იმავე კრებამ 25 თებერვალს 1875 წ. დაამტკიცა რესპუბლიკის წესდებულება (კონსტიტუცია), რომელიც შემდეგში მდგომარეობს: კანონთ-მდებელი უფლება ეკუთვნის ორ საბჭოს—დეპუტატთა პალატას და სენატს. დეპუტატთა პალატის წევრნი ამოირჩევიან საყოველთაო ამორჩევითა. რესპუბლიკის მოთავის (პრეზიდენტის) ამოსარჩევად სენატი და დეპუტატთა პალატი ერთად უნდა შეიყარნენ, შეადგინონ ერთი ნაციონალური კრება და ამ კრებამ უნდა ამოარჩიოს რესპუბლიკის მოთავე კენჭის ყრითა. ოღონდ კი ამომრჩეველთა კენჭი მეტი იყოს, თუნდა ერთითაც და ამორჩევას კანონიერი ძალა ექნება. პრეზიდენტს ირჩევენ შვიდის წლის ვადით. მაგრამ, ეს ვადა რომ გაუთავდება შეუძლიან ხელმეორედ ამორჩეულ იქმნას. როგორც ორივე საბჭოს წევრთა აგრეთვე რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს კანონ-მდებლობითის თაოსნობის უფლება ესე იგი შეუძ-ლიან წარუდგინოს ორთა საბჭოს, რომელიმე კანონთ წინადადება, რომელიც მაშინ მიიღებს კანონის ძალსა, როცა სენატი და დეპუტატთა პალატი თანახმანი გახდებიან და დაამტკიცებენ.

პრეზიდენტი ვალდებულია საქვეყნოდ გამოაცხადოს და აღსრულებაში მოიყვანოს ის კანონი, რომელიც დაწესებულია ორივე პალატის მიერ. მას აქვს უფლება შეიწყალოს დანაშაულობა, მაგრამ საზოგადოდ შენდობა კი დანაშაულობისა უნდა მხოლოდ კანონის ძალით მოხდეს.

ლაშქარი პირდაპირ პრეზიდენტს ემორჩილება და მის განკარგულების ქვეშ იმყოფება. მარტო პრეზიდენტს აქვს უფლება განაწესოს სამხედრო და საერო თანამდებობის კაცნი. უცხო სახელმწიფოთა ელჩები და სხვა წარმომადგენელნი მის წინაშე არიან დადგენილნი. ყოველი განკარგულება რესპუბლიკის პრეზიდენტისა ხელმოწერილი უნდა იყოს ერთის მინისტრის მიერ. თუმცა დეპუტატთა პალატი ვადით არის, მაგრამ პრეზიდენტს შეუძლიან, სენატის დაკითხვით, დაითხოვოს დეპუტატთა პალატი, ვადაზედ უწინარესაც, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამ თვეზე მაინც უნდა დანიშნოს ახალი არჩევანი ახალთა დეპუტატთა ამოსარჩევად და ახალის პალატის შესადგენად. მინისტრები როგორც ყველანი ერთად, ისე თვითეულად ცალკე პასუხის მგებელნი არიან პალატთა წინაშე. საერთო პასუხის გება მაშინ არის, როცა სამინისტრო მოქმედება შეეხება საზოგადო საპოლიტიკო საგანსა, თვითეულის პასუხის გება ცალკე მაშინ არის, როცა საქმე თვითეულის მინისტრის განკერძოებულს, ცალკედ მოქმედებას შეეხება.

რესპუბლიკის პრეზიდენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის პასუხის მგებელი, თუ ვინიცობაა სახელმწიფოსი და ქვეყნის ღალატი შეემჩნევა. თუ სიკვდილისა ან სხვა მიზეზების გამო ძველი პრეზიდენტი აღარ იქმნება ორივე პალატა იმ წამსვე შეუდგება ახალის პრეზიდენტის არჩევანს და არჩევანამდე აღმასრულებელი უფლება დროებით მიენიჭება სამინისტრო საბჭოსა.

ორთა პალატას აქვთ უფლება თავისის ნებით, ანუ პრეზიდენტის წინადადებით, კონსტიტუციის კანონები ხელახლად განარჩიონ და შესცვალონ. ამ შემთხვევაშიაც ორივე პალატი უნდა გაერთდეს და შეადგინოს ერთი ნაციონალური კრება.

ხოლო, 1880 წლამდე, ესე იგი ვიდრე ეხლანდელს პრეზიდენტს მაკ-მაჰონს არ გაუთავდება პრეზიდენტობის ვადა, კონსტიტუციის ხელახლად გადახილვა და შეცვლა მხოლოდ პრეზიდენტის წინადადებით შეიძლება, ასე რომ პალატთა ამ დრომდე ამისი უფლება არა აქვთ.

სენატს შეადგენს სამასი წევრი, რომელთა შორის სამოც და თხუთმეტს ირჩევს ნაციონალური კრება, და ორას ოცდა ხუთს კი ირჩევენ დეპარტამენტები (გუბერნიების მგზავსია) და კოლონიები. *)

---

*) მარტინიკა და გვადელუპა ამერიკაში, რეუნიონი—აფრიკაში, და საფრანგეთის ინდოეთი აზიაში.

ვინც გვარტომობით ფრანციელი არ არის, ვინც ორმოცის წლისა არ შესრულებულა და ვისაც არა აქვს მინიჭებული ყველა საერო და საპოლიტიკო უფლებანი, იმას არ შეუძლიან სენატის წევრად ამორჩეულ იქმნას.

ამ სენატის წევრთა, რომლებსაც ჰგზავნიან დეპარტამენტები და კოლონიები, ირჩევს არჩევანის კოლლეგია (избирательная коллегія), რომელიც იკრიბება დეპარტამენტის უმთავრესს ქალაქში და რომელსაც შეადგენენ შემდეგნი პირნი: 1) დეპუტატთა პალატის წევრნი, 2) დეპარტამენტის საბჭოს წევრნი, 3) მაზრის საბჭოს წევრნი და 4) ის პირნი, რომელთაც ირჩევს თვითეულად ყოველი მუნიციპალის საბჭო სოფლის საზოგადოების ამომრჩეველთა შორის.

ამ რიგად დეპარტამენტებში ცხრა წლის ვადით ირჩევენ სენატორებს, რომელთა მესამედი ნაწილი ყოველს სამს წელიწადს ერთხელ უნდა გადადგეს და მათ მაგიერ ახალნი ამორჩეულნი უნდა შევიდნენ. ის სენატორები კი, რომელთაც ირჩევს ნაციონალური კრება, სიკვდილამდის მაგ თანამდებობაში უნდა იყვნენ, იგინი უცვლელნი არიან.

თუ სიკვდილისა ან სხვა მიზეზის გამო სენატორის ადგილი განთავისუფლდა, მაშინ თვითონ სენატი ორის თვის განმავლობაში ირჩევს მის მოადგილეს. სენატსა და დეპუტატთ პალატს ერთნაირი უფლება აქვსთ კანონების შედგენისა და წინადადებისა. ხოლო, საფინანსო კანონები კი წინაპირველად დეპუტატთა პალატის წინაშე უნდა წარდგენილ იქმნენ, მის მიერ მიღებულნი, და შემდეგ სენატში გადატანილ. თუ საჭიროება მოითხოვს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი ან მინისტრები სამჯავროს მიეცნენ, მაშინ სენატი მიიღებს უმაღლესის სასამართლოს უფლებასა.

აი ამაში მდგომარეობს ის კონსტიტუცია, რომელიც ამ ჟამად მოქმედებს საფრანგეთში. კარგია თუ ცუდია ეს კონსტიტუცია, კაცის თავისუფლებას და კეთილდღეობას ბევრად უმართავს ხელს თუ ცოტად, ჩვენ ამის გამოძიებაში არ შევალთ. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ამ კონსტიტუციიდამ ცხადად სჩანს, რომ საფრანგეთში დამყარებულია რესპუბლიკა და არა სხვა სახის მთავრობა. ამ დასკვნას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყვანდა და ჰყავს კიდეც, ბევრმა უღალატა მას, ბევრმა ბევრჯელ ძირი უთხარა, მაგრამ ვერავინ ვერა გააწყორა. რესპუბლიკამ თავისი გაიტანა და დღეს ჯერ ავად თუ კარგად სუფევს.

აწმყო მმართველობას სამგვარი მტერი ჰყავს საფრანგეთში: ლეგიტიმიელნი, ორლეანელნი და ბონაპარტიელნი. ლეგიტიმიელებს ჰსურთ დაადგინონ საფრანგეთში მონარხიული მთავრობა და ტახტზე გრაფი შამბორი აიყვანონ. შამბორი, ანუ ჰენრიხი V, ბორდოსის ჰერცოგი არის, შვილის შვილი კარლო X-სა, რომელიც მეფობდა საფრანგეთში 1824—1830 წლამდე. ორლეანელთ ჰსურთ გაამეფონ ლუი-ფილიპის *) შთამომავლობა.

ბონაპარტიელები სცდილობენ დაადგინონ იგივე იმპერია, რომელიც საფრანგეთმა ჩამოაგდო ტახტიდგან 4 სექტემბერს 1870 წ. ლეგიტიმელნი და ორლეანელნი, ამ ჟამად იმედ გაწყვეტილნი, როგორღაც მიიმალნენ. ბონაპარტიელნი კი ისევ დიდ მეცადინეობაში არიან და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე ძირი მოუთხარონ ახალ დაბადებულს რესპუბლიკასა.

როგორც რუსეთი განიყოფება გუბერნიებად, იმგვე მსგავსად საფრანგეთი დაყოფილია დეპარტამენტებად (86 თვითონ საფრანგეთშია, სამი ალჟირში). დეპარტამენტის უფროსი არის პრეფექტი. შინაგან საქმეებს განაგებს დეპარტამენტის საბჭო, რომლის წევრთა თვითონ ხალხი ირჩევს. ყოველი დეპარტამენტი შესდგება რამდენიმე მაზრებთაგან, რომელთა უფროსებს უწოდებენ სუ-პრეფექტებს. ყოველ მაზრაში არის აგრეთვე მაზრის საბჭო.

მაზრა განიყოფება რამდენიმე კანტონებად და თითო კანტონი სოფლის საზოგადოებად, რომელთა საქმეების წარმოება მინდობილი აქვს მუნიციპალის საბჭოს. სოფლის საზოგადოების უფროსს უწოდებენ მერს. მუნიციპალის საბჭოს წევრთა ირჩევს თვითონ სოფლის საზოგადოება.

ყოველი სრული წლოვანი ფრანციელი ვალდებულია ლაშქარში სამსახურისა. იგი უნდა ემსახუროს ხუთი წელიწადი მოქმედ ლაშქარში, ოთხი წელიწადი ამ ლაშქრის რეზერვში, ხუთი წელიწადი სატერიტორიო ლაშქარში და ექვსი წელიწადი ამ ლაშქრის რეზერვში. სულ ერთიანად სამსახურის ვადა ოცი წელიწადია.

*) ლუი-ფილიპი მეფობდა საფრანგეთში 1830—1848 წლამდე, და ამ წელიწადს აჯანყებისაგამო გაიქცა საფრანგეთიდამ.

მშვიდობიანობის დროს საფრანგეთის ლაშქარი შეადგენს 440,321 ჯარის კაცს; ომიანობის დროს 1,750,000 კაცის იმედი აქვთ. საფრანგეთის შემოსავალი შეადგენს 700 მილიონამდისინ. გასავალიც თითქმის ლი სულ ერთიანად შარშან ადიოდა 300 მილიონსამ-ამოდენაა. მისი ვა-დისინ.

ახალმა რესპუბლიკამ დიდი სარგებლობა მოუტანა სახალხო განათლებას. 1878 წლის შემოსავლიდამ სახალხო სასწავლებლებისათვის გადადებულია 27 მილიონი ფრანკი, ე. ი. შვიდ მილიონით და ნახევარით მეტი ვიდრე შარშან იყო დანიშნული. ეს ფული დანიშნულია სახელმწიფო ხაზინიდგან. ამს გარდა სახალხო სასწავლებელთათვის თვითონ დეპარტამენტები ოთხ მილიონ მანეთამდე იძლევიან, სოფლის საზოგადოებანი ხუთმეტ მილიონამდე და ხუთ მილიონზე მეტს კერძო პირნი და სხვა და სხვა საზოგადოებანი. ყველა ეს ცხადად გვაჩვენებს ჩვენ, რომ რესპუბლიკას საფრანგეთში მიუმართავს ძლიერი ყურადღება ხალხის განათლებისათვის და ამისთვის არამც თუ თვით მთავრობას აუღია კისრად კარგა ზომიერი ხარჯი, არამედ გამოუწვევია თვით საზოგადოება ამ მეტად საჭირო საქმის ხელის შესაწყობათ. ამისთანა მეცადინეობა რესპუბლიკისა ერთის მხრით ხალხის განათლებას დიდს წარმატებას აძლევს და მეორეს მხრით საფრანგეთის ხალხს აჩვენებს რა სარგებლობასაც უნდა მოელოდეს იგი სხვაშიაც ამ ახალის რესპუბლიკისაგან.

---

## ჩვენის ისტორიისათვის მასალა.

ამოღებულია ნიკოლოოზ დადიანის ხელნაწერის თხზულებიდამ, რომელსაც ჰქვიან „ქართველთ-ცხოვრება“. *)

თუმცაღა განმეორებით ახლად შევსთხზეთ ესე ქართველ-ცხოვრება დაბიოითა ფრასითა და ლექსნი განვამშვენენ და წინა უკმო დავსდევ და უმჯობეს ხასმენელად და საგულხმოდ განვჰჭვარგენ; გარნა ძალნი საქმეთანი და მოთხრობანი არცაღა დამიმცირებიეს და არცა დამიმატებიეს, მის უწინდელთა ქართველთ მეისტორიეთაგან, და ნანდვილნი იგი დამიდვიეს ვითარ-ვისხილე მას შინა.

ხოლო პირველის სოლომონ მეფიდამ წეებული ვიდრე აქამომდე, და ესე შემდგომნი ამისა წარწერილნი ისტორიანი ანუ მოთხრობანი ქართველთა და შემდგომთა მისთანი, ჯერეთ არღა აღწერილ არიან, არცა მეფესა და არცაღა ახალსა ქართველთ ისტორიასა შინა, ვინათგან არა იყო ჯერეთ საქმენი ესე ნამყო-სრულად, ამისთვის მე თანა-მდებად შევრაცხე თავი ჩემი ვითარცა შვილმან მამულისამან, და ესე შემდგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი, რომელნიმე სმენილნი და რომელნიმე თვით ჩემგან ხილულნი აღვსწერე, სახსოვრად და სასარგებლოდ ყოველთა მოყვარეთა მეისტორიეთასა, და მე ვალათ დავსდებ ყოველთა შვილთა მოყვარეთა მამულისა ჩვენისათა, ოდეს მე არღა ვიქმნები სოფელსა ამას, მაშინ ნუ დაუტევებთ შემდგომთა ქმნილთა სახსოვართა საქმეთა რომელ არა აღწეროთ, რათა ჩვენსაცა ქვეყანასა ჰქონდეს სხოვნაი სხვათა ქვეყანათა-თანა და იცოდენ განათლებულთა შვილთა ნამყონი-საქმენი მამულთა თვისთანი, რათა მით უმჯობეს მართონ თავი თვისი და ჩვენცა გვქონდეს ხსოვნაი.

აწ მოვიქცევი თქვენდამო და უმორჩილესად გთხოვთ და გემოქნევით დათხოვასა და მოქნეობასა თანა გავიცებთ მას ურომელოსა ღვთაებასა, უკეთუ სათნო გექმნასთ და ინებოთ ვინმემ გარდაწეროს ამა ჩემ-მიერ ქმნილისა ანუ თხზულისა წიგნისა, ნუცა ჩემგან აღწერილსა წინა-სიტყვაობასა წინა-მდებარისა ამის წიგნისასა, და ნურცა ამას, რომელი აქა აღწერილ არიან, ნუ დაუტევებთ, რომელ არა აღწეროთ სახსოვრად ჩემისა ვინაობისა, და მქონდეს ხსოვნა შენდობითა, რათა თქვენცა მოგმადლოს ღმერთ-მამა-კაცმან ყოველნი თხოვანი თქვენნი.

უმორჩილესი მოსამსახურე თქვენი

თ. ნიკოლაი დადიანოვი პირველი.

---

იქმნა მეფედ იმერთა ზედა დავით გიორგის ძე ამან დაიდგინა განმზრახად და პირველ კაცად ქსნის ერისთვის ძე ელისბარ, რომელი იყო სიძე გარდაცვალებულისა მეფისა სოლომონისა. ესე შეიმუსრევს იმერთა და განდევნ მეფისაგან წულუკიძე ბერი და პაპუნა წერე-

*) ჩვენ ამ თხზულებიდამ ამოვიღეთ მხოლოდ იმ დროთა ამბავი რომელიც დაიწყობა 1784 წ. და თავდება 1823 წლით. ღირს საცნობად დავინახეთ ესა მით უფრო, რომ ნიკ. დადიანი რასაც მოგვითხრობს ან თვით გაუგონია, ან თვით უნახავს.

თელი და სწადოდათ მეფობა დავით არჩილის ძისა, გარ-
ნა შეეწია დადიანი კაცია და წარგზავნა სპანი ოდიშისა-
ნი და წარუძღვნა სპათა ძმა თვისი გიორგი. განვიდნენ
ოდიშარნი და მოსწვეს მოსტყუენეს ქარჩხაზს სასახლე
ბერი წულუკიძისა, და ეგრეთვე სრულსა იმერეთსა შინა
სადა ჰპოვეს ორგულნი დავით მეფისანი, გამოვლეს იმე-
რეთი და დაამხვლნეს და გარდაყარნეს წულუკიძე და წე-
რეთელნი, წარმოვიდნენ ოდიშარნი, გარდმოვლეს სწალი-
კეა ჩამოვიდნენ რაჭას და იგიცა დაიმორჩილნეს, აღიღეს
ხიდის-კარი რაჭას რიონს მდგომარე, და წარვიდა ძმა
დადიანისა გიორგი და სპანი ოდიშისა გამარჯვებულნი
ლეჩხუმით ოდიშად და მეფე დასტოვეს მშვიდობით იმე-
რეთს. წასრულთა წულუკიძეთ და წერეთელთა იმეცადინეს
და იშოვნეს ჯარნი ლეკისანი რამოდენიმე და მოვიდნენ
რაჭას, და მიიბირნეს რამოდენიმე იმერ რაჭველნი. მცნობ-
მან მეფემან სთხოვა შეწევნა დადიანსა კაციას. ხოლო
დადიანმა წარმოგზავნა სპანი თვისნი ოდიშ ლეჩხუმი და
მოვიდნენ რაჭას, სადა იყვნენ დაბანაკებულნი ლეკისა და
თათრის ჯარნი და იყო მუნ წულუკიძე ბერი და წერე-
თელი პაპუნა, და ჰყვანდათ სამეფოდ დავით არჩილის ძე
და მივიდნენ მათ-თანა მრავალნი იმერნი; ხოლო მირავიდნენ
სპანი დადიანისანი, და რა დილა გათენდა ეწყვნენ ურთი-
ერთარს და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და იოტნეს ოდიშ
ლეჩხუმთა ლეკნი და თათარნი, დასჭრეს პაპუნა წერეთე-
ლი და მრავალნი დახოცნეს, და დავით არჩილის ძე და
ბერი წულუკიძე, და დაჭრილი პაპუნა წერეთელი შევიდნენ
კვარას ციხესა შინა, და დაშთომილნი ლეკნი და თათარ-
ნი დამაგრდნენ სხვევას სახლსა ბეღელსა და საბზელსა
შინა და იყო მუნით ბრძოლა ლეკთაგან საკმაო. მოად-
გნენ გარს ოდიშ ლეჩხუმნი და თუმცა მამაცად და სახე-
ლოვნად იბრძოდნენ ლეკნი, და მოჰკლეს სიმაგრით გამო
მრავალნი სახელოვანნი მამაცნი ოდიშარ-ლეჩხუმელნი,
გარნა ლეკნი გამოსწვეს სახლსა შინა, მოჰკლეს მოსწყ-
ვიდეს ერთიცა ცოცხალნი არა წარსულ-არიან და გაემარჯ-
ვათ სახელოვნად ოდიშარ-ლეჩხუმელთა, სადა წარმოაჩი-
ნეს სრული მხნეობა და მოიქცენ გამარჯვებულნი სახ-
ლადვე თვისად დიდითა ალაფითა შოებულნი. იყო მშვი-
დობა და სიყვარული შორის ამა მეფისა და დადიანისა.
ჟამსა ამას იყო გურიელად მამია, და ფლობდნენ აფხა-
ზეთს დადიანის საზღვარს იქით შარვაშიძე ზურაბ ზუ-
ფუს, და აყუს ციხესა შინა იყო ქელაიშაჰმედ-ბეგი, და
ეპყრა მახლობელნი მისნი და ფლობდა შუა სოფელად
წოდებულს აყუს საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგამდე ძმის-
წული ზურაბისა ბექირ-ბეგ. ხოლო გურიელი მამია დაუძ-
ლურდა მოხუცებულობისა გამო, დაუტევა გურიელობა და
იქმნა მონაზონ, და იქმნა ძმა მისი გიორგი გურიელად.
მოჰკვდა გურიელი გიორგი და იქმნა ძე მისი სიმონ
გურიელად. შემდეგ ამისა რაოდენისამე ჟამისა დასნეულ-
და დადიანი კაცია, და ოდეს სცნა განსვლა თავისა თვი-
სისა ამიერ სოფლით და ხედვიდა ძეთა თვისთა მცირ-
წლოვანთა. ამისთვის მოიყვანა მეფე დავითი და ძენი
თვისნი ხელთა მისთა მიაბარა და სთხოვა რათა მოიხ-
სენოს მსახურება მისი და ღვაწლნი რომელნი უჩვენებიეს
მას წინაშე მისა სპითა თვისითა და შეეწიოს ძეთა
მისთა და იქმნეს ნაცვლად მისა მამად ძეთა დადიანისათა
მცირ-წლოვანთა ყრმათა. მაშინ მეფემან აღუთქვა ფიცითა
შემწეობა და ნაცვლად მისა მამობა შვილთა დადიანისათა
და წარვიდა იმერეთს და შემდგომად სამისა დღისა გარ-
დაიცვალა დადიანი კაცია მთავართა შორის ღირს სახსო-
ვარი და დაფლეს მარტვილს სამარხოსა მამათასა წელს
ქრისტესით, 1788 და ქმნეს მთავრად სამენგრელოისად
დადიანად ძე კაციასი გრიგოლ თვრამეტისა წლისა. ხო-
ლო მეფემან დავით დაივიწყა კეთილობა კაცია დადიანი-
სა, და ანდერძიცა მისი და განიზრახა ვინადგან არა ვინ
არის შემძლე ძეთაგან კაცია დადიანისათა დაპყრობად
მთავრობისა სიყრმისა გამო, მე დავიპყრობ სამთავროსა
სამენგრელოისასო. და შემდგომად ორის თვისა კაცია
დადიანის გარდაცვალებისა შეიკრიბნა სპანი იმერეთისანი
დავით მეფემან და მოუხდა ოდიშს და მოსწვა, მოსტყუენა
ოდიში და გარდიბირნა მრავალნი ოდიშარნი, და ძმა
გრიგოლ დადიანისა მანუჩარ და სხვანი თავადნი და მრავ-
ლითა ტყვითა შოებული წარვიდა კურთხევად იმერეთს.
ხოლო დადიანი გრიგოლ სიყრმისა-გამო ვერ წინააღმ-
დეგ ექმნა და წარვიდა ლეჩხუმს. შემდგომად შეკრბნენ სა-
მენგრელოს სამთავროს დიდებულნი: ძმა დადიანისა კა-
ციასი გიორგი, ბიძაშვილი დადიანის კაციასი კვალად
გიორგი კაცოს ძე და ძმის-წული დადიანის კაციასი
კვალად გიორგი ნიკოლოზის ძე და ამათთან გელო-
ვანი ქაიხოსრო, სამენგრელოს სამთავროს ხალხთ-უხუცესი
გიორგი ჩიქოვანი. და ვინათგან სცნეს რომელ მეფე დავით
ნაცვლად კეთილობისა მეცადინეობს ბოროტის შემთხვევასა
გრიგოლ კაციას ძის დადიანისასა, ამისთვის განიზრახეს
და წარგზავნეს კაცი და მოიყვანეს საქართველოდამ და-
ვით არჩილის ძე ბაგრატიონი ძმის-წული პირველის სო-
ლომონ მეფის, რომელი ზემო ვახსენეთ, გარნა ესეცა
ყრმა და მოიყვანეს ლეჩხუმს სასახლესა მურს და მისცეს
მეუღლედ ასული დადიანისა კაციასი და და გრიგოლისი

მარიამ და უკურთხეს გვირგვინი და ქმნეს ქორწილი. და შემდგომად ქორწილისა შეიკრიბნეს სპანი ლეჩხუმისანი და წარმოემართნენ ესე ორნი ურმანი მიმდობელნი ღვთისანი, და მოვიდენ ოდიშად ხუნწს, და მუნ მიერთუნენ ოდიშისა სპანი ყოველნი თვინიერ მიბირებულისა მეფისა და დაიბანაკეს ხუნწს. ოდეს სცნა ესე მეფემან დავით შეიკრიბა სპანი იმერეთისანი, და მასთანა იმოვნა ჯარიცა ლეკისა და დიდითა მოქადულებითა წარმოემართა ამა ორთა ურმათა, დავითსა და გრიგოლსა ზედა, რომელი არა რად რაცხვიდა და მოქადული იტყოდა მრცხვენის ურმათა მათ ბრძოლა, გარნა შევიპყრობ ყოველსა მენგრელთ დიდთა კაცთა და ამით დავიპყრობ სამენგრელოსაო, და მოვიდა დაებანაკა გაღმით ცხენის-წყლისა ხონის მახლობლად. შემდგომად რაოდენისამე დღისა წარმოემართა მეფე დავით სპითა დადიანისა დადიანსა და და დავითს ზედა. აქათ თუმცა იშიშვოდენ მეფის სპის სიმრავლისაგან ოდიშარნი, გარნა ამამაცეს გულნი და ვინათგან ცხენის-წყალი განდიდებულ იყო და ვერა გავიდოდა ქვეითნი, ამისთვის სპანი მენგრელთ ქვეითისანი წარგზავნეს ბუნბუას ხიდზედ გადასავლელად და წარუმძღვანეს ქვეითს სარდლათ სამენგრელოს სამთავროს სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი, რომელმანცა მამაცობა თვისი მას ჟამსა წარმოაჩინა. განვიდა ხიდსა ზედა და დაებარგა გაღმით ხუნწისა მათხოჯის ქვეშე, და რა იხილეს ესე მენგრელთ სპამან ცხენოსნისამან, განვიდენ წყალსა პირისპირ ხუნწისა და გასვლასათანა შეეკეთნენ ურთი-ერთას და შეიქმნა ბრძოლა, და შემდგომად დიდისა ბრძოლისა უკუნ-აქციეს მოქადულობა მეფისა და გაიქცენ სპანი იმერ ლეკისანი და გაემარჯვა დადიანსა გრიგოლს და დავითს სამეფოსა კაცსა, სადა მენგრელთ დიდი მხნეობა წარმოაჩინეს წელს ქრისტესით, 1789 ხოლო მენგრელთა შეიპყრეს და მოჰკლეს მრავალნი იმერნი და უმეტესნი თავად აზნაურნი ცოცხალნი დაინარჩუნეს და მოართვეს დადიანსა, და აქითც მოჰკლეს მრავალნი მენგრელნი და მათ შორის მე ქაიხოსრო გელოვანისა მანუჩარ. მიჰყვენ უკანით გაქცეულსა მეფეს დავითს და მივიდენ ქუთათის, ალიღეს ყოველნი ციხე სიმაგრენი იმერეთისანი, მოიყვანეს ყოველნი იმერთა დიდებულნი და მიათვალეს დავითს, დასვეს მეფედ ქუთათის და უწოდეს სახელად სოლომონ, და მოიქცა გრიგოლ დადიანი დიდი გამარჯვებული სპითა თვისითა სახლად თვისად, ხოლო დავით წარვიდა ლტოლვილი ახალ-ციხედ.

(შემდეგი იქნება.)

—

## ამბავათ გაგონილნი

### I.

ერთხელ მეფე ერეკლე II მიბძანდებოდა თურმე ქალაქიდამ კახეთს და თან, რასაკვირველია, ამალა ხლებია. მზე დაწურვაზედ ყოფილა, როცა მეფე მიბძანებულა საგარეჯოს ბოლოებზედ. დაუნახავს რომ ერთს ყანაში დიდ-ძალი მუშა დგას და მკის. იკითხა, ეს ამოდენა მუშა ვისიაო. მოახსენეს, აქ, საგარეჯოში ერთი შეძლებული გლეხია და იმისი მამითადიაო.

— შაბაშ გლეხსაო, ბძანა თურმე და იმისი ვინაობა იკითხა. მოახსენეს ვინც არის და ზედ დაატანეს: ასეთი ხელმოჭერილი რამ კიაო, რომ პურს არ ვის აჭმევს, თუ არას გამორჩაო.

შეაყენა მეფემ ცხენი და უბძანა: თუ აქ არის ის გლეხი, აქ მომიყვანეთო.

მოიყვანეს. მეფემ უბრძანა: გახშმათ ჩემის ამალით შენი სტუმარი ვარო.

— მობძანდი, შენი ჭირიმე! უპასუხა გლეხმა: მაპატიე კი, აქ სამზადისი არა მაქვს, შინ მეწვიეო.

მეფემ ნება დართო. გლეხი გადაჯდა ცხენზედ და ჭენებით წინ წავიდა. ვიდრე მეფე აბძანდებოდა სოფელში, ჩამოღამდა კიდეც. გლეხი წინ მოეგება, მიწვია მეფე მიწურის სახლის ბანზედ, რომელიც თავიდამ ბოლომდე საფენით მოეფინა კიდეც. ძალიან კარგად დახვდა თურმე მეფესა და იმის ამალასაც. როცა მეფემ ვახშამი მიირთო, წასვლა დააპირა და ცხენები მოითხოვა მოართვეს ცხენები. გლეხს ძალი უბძანა და ზედ დაატანა:

— აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო.

— მაინც ეგრეა, შენი ჭირიმე! უპასუხა თამამად გლეხმა: მართალი მოუხსენებიათ.

— როგორ? აბა დღეს მე რას გამომრჩი?

— ამ ბანზედ მიწა ახლად დაყრილია. ამის დატკეპნას კარგა მუშა მოუნდებოდა და მე მეტი გამორჩომა რად მინდა რომ ჩემმა ბედნიერმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისის საკუთარის ფეხით ბანი დამიტკეპნესო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და ხალათი უბოძა.

### II.

მეფეს ერეკლეს II ხლებოდა ერთი ღარიბი მოხუცებული დედა-კაცი და მოწყალებას ეთხოვნა.

— სხვისა მამავ და ჩემო მამინაცვალოო, ერთხელ ჩემკენაც მოიხედეო, ეხუმრა დედა-კაცსა.

— რა არის, ამოდენა ხანია სულ მოწყალებაზედ დადიხარო, ებძანებინა ხუმრობითვე მეფეს: განა შვილები არა გუავსო.

— მაშ რის დედა-კაცი ვიქნები, რომ შენთვის ყმა არ გამეზარდოს! შვიდი შვილი გაგიზარდეო.

— არა გრცხვენიან, დედი, შვიდის შვილის პატრონი ხარ და საგლახაოთ დაიარებიო.

— ვიშ, შენი კვნესამე! ნეტავი ერთი მყავნდეს და შენისთანაო.

III.

მეფე გიორგის XIII ერთი კარის-კაცი ჰყოლია; თუმცა ხნით მეფეზედ უფროსი ყოფილა, მაგრამ წვერ-ულვაშში ერთი ჭაღარაც არა ერია თურმე. ერთხელ მეფეს იმისათვის ეხმანა:

— ერთი მითხარ, რისაგან არის, რომ მე ამოდენა ჭაღარა გამომერია, ღამის სულ გავთეთრდეო და შენ კი, ჩემზედ უფროსს, ეგრე შავად შეგაზერდა თმა და წვერ-ულვაშიო.

— წესიც ეგრეა, ბატონო! უპასუხა კარის-კაცმა: თქვენ ხელმწიფე ბძანდებით, პირ ნათლად უნდა სუფევდეთ და მე კი თქვენი ყმა ვარ, პირშავადაც რომ ვიყო არა მიშავს რაო.

IV.

მეფე გიორგი XIII ერთს დროს ყაზახ-ბორჩალოს მიბძანებულა და ჰსწვევია ერთს დარბაისელს, საქართველოს ერთგულს მოხუცებულს აღალარს. ჩამოვარდნილა ლაპარაკი ცხენებზედ და მეფეს უკითხავს აღალარისათვის:

— ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ გათქმული იყო მთელს საქართველოში. ეხლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან. რა იქმნენ ის უწინდელი ცხენებიო?

— იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო, უპასუხა გულ-ამოჯდომით მოხუცებულმა აღალარმა. *)

## ერთი მრავალთაგანი.

სავოიის სოფლის მ....ს ახლოს, ბაღში, ხის ძირს მოგროვილიყო საზოგადოება და მუსაიფობდა. შემოდგომის მთვარიანი ღამე იდგა, ლაჟვარდი ცა მოწმენდილი იყო. თეთრი მონ-ბლანი მძინარე დევივით განისვენებდა, სხვა მთანი, მისდამი გარ-შემორტყმულნი, მდუმარედ იყვნენ, თითქო იმის ძილის დაფრთხობას ერიდებიანო. ბუნებას ხმა გაეკმინდა, მხოლოდ შეუპოვარი მთითგან გადმოქანებული არვა მირბოდა და მიბუდბუტებდა; მთანი, მის ნაპირებზედ წამოზიდულნი, თვით წარბშეკრული და შეჭმუხვნილი, თითქოს ემდუროდნენ ამ დაყუდებულს მყუდროებას რად არღვევსო.

საზოგადოების მუსაიფი იმ დაძინებულს არემარეს არ აშფოთებდა. ფრანციელთა და გერმანიელთ ომზე იყო წყნარი და ნელი ლაპარაკი. ყველას უნდოდა წარმოეთქვა რამ. მხოლოდ ერთი ქალი იჯდა, მეტად ჩაფიქრებული, და ხმას არ იღებდა. ეს ფრანციელი ქალი, ბუნებით მხიარული და მოლაპარაკე, ისე იყო თავის ფიქრებში გართული, თითქო შიშობსო ხმის ამოღებამ ფიქრნი არ გამიფთხოსო. ხშირი წამწამი ჰფარვიდა მის მშვენიერს შავს თვალებსა და ამის გამო მის თვალთა მეტყველობას ვერარას შეამცნევდა კაცი; თეთრი შუბლი მოღრუბლა; მხოლოდ ხანდისხან ერთი რაღაც ღიმილი გაულევებდა ხოლმე ბაგეზედ, მაგრამ ის ღიმილი სევდის ცრემლზედ უფრო მწუხარე იყო. კალთაში უჯდა ანგელოზივით მშვენიერი ქალი. მას საზოგადოების წყნარს მუსაიფში ჩაჰსძინებოდა, დედის მკერდზედ მიყუდებულსა.

ჩემს მეზობლად იჯდა იმ ქალის ქმარი უფალი ქ***.

— შეხედეთ მადამ ქ...ს, მივუბრუნდი ქმარს და ვკითხე: რად არის ეგრე მოწყენილი? უქეიფოდ ხომ არა ბძანდება?

— თუ ღმერთი გწამთ ხმას ნუ გაჰსცემთ, მომიგო მან და მერე ყურშიაც წამჩურჩულა: მაგისი ძმა იმ ომებში მოკლეს...

პატივი დავდე იმის სიტყვას და ხმა გავიკმინდე. მაგრამ მადამ ქ.***მ მარტო ჩემი ყურადღება არ მიიზიდა. ჩვენს პირდაპირ იჯდა ერთი დაღვრემილი ბებერი კაცი ფრანციელი. ამანაც თურმე თვალი შეასწრო მადამ ქ***ის მწუხარებას.

— თქვენ, მადამ ქ***, ან სულ არ ისმენთ ჩვენის საყოველთაო მწუხარების ამბავსა, ან თუ ისმენთ, მეტად გულ-გრილად თქვენ. მგონი, იმ დროს საფრანგეთში არ ყოფილხართ?

მადამ ქ*** უეცრად შეკრთა, თითქო მართლადა ეხლა ელდამ რამემ გამოაღვიძაო. რისხვით სავსეს თვალით გადახედა ბებერსა. ღმერთმან თქვენი მტერი დაიხსნას იმ გვარის მეხისაგან!.. ბებერმა თვალი ველარ გაუსწორა და თავი ჩაღუნა.

— გულ-გრილათაო!?... წამოიძახა მადამ ქ***მა: საფრანგეთის დამარცხებას განა გულგრილად ავიტან!.. განა ჩემი საწყალი ძმა, ის მშვენიერი ყმაწვილი კაცი, იმათ არ მომიკლეს!..

ყოველმა ამ ქალისაკენ მოიხედა. ქალმა გული ველარ შეიმაგრა, სევდა გულზე მოაწვა. ცხადი იყო

---

*) გთხოვთ, ვისაც ამგვარი ამბები გაგონილი ჰქონდეთ, რედაქციას აცნობოთ.

რომ თქმით უნდოდა გაექარვებინა გულზე მოწოლილი ნაღველი. საზოგადოება ჩაჩუმდა, ძალაუნებურად ყველანი სასმენლად მოვემზადენით. მომზადება არ გაგვიმტყუნდა,—ქალმა დაიწყო:

„ომი რომ ასტყდა, იმ დროს მე, ჩემი ქმარი დედა ჩემი და ჩემი უბედური ძმა ალფრედ სტამბოლს ვიყავით. მაშინ ჩემი ძმა ოცდა-ექვსის წლის ყმაწვილი-კაცი იყო; ერთს მოხუცებულს ფაშის შვილებს ასწავლიდა და იმ დარბაისელს ოსმალოს ძალიან უყვარდა ჩემი ძმა, დიდს პატივსა ჰსცემდა. რაკი ხმა გავარდა ნაპოლეონის ტყვეობისა და რესპუბლიკის დადგენისა, ჩემს ძმას გაუხარდა. მაშინ იწამა, მაშინ მოეცა იმედი, რომ საფრანგეთი შემოსეულს მტერს თვისის ქვეყნიდამ განსდევნისო. მაგრამ განგება ღვთისა სხვა იყო. ყოველ დღე მხოლოდ ჩვენების დამარცხების ამბავი მოდიოდა. ამ ხმებზედ ჩემი ძმა უფრო და უფრო ფიქრმა წაიღო. მისი შეცვლილი სახის-მეტყველება გვაშინებდა ჩვენ: წარბი აღარ გაეხსნა, ფერი დაეკარგა, დაღონებული დადიოდა და ყოველდღე ამას იძახდა: „უნდა წავიდე, უნდა წავიდეო.“

„ჩემი ქმარი ჟენეველია და ამის გამო შეეძლო პირუთვნელად სჯა საფრანგეთის ბედზედ, იგი კარგად ხედავდა რომ საფრანგეთი ვერ გაიმარჯვებს და უშლიდა ჩემს ძმას წასვლასა. მეც ბევრი ვუშალე, მაგრამ ვერ დავაჯერე, ვერ დავიყოლიე. ერთხელ კიდეც ვუთხარი:“ ერთით რა მოემატება საფრანგეთსა? გინა იქ ჰყოფილხარ, გინა აქ, სულ ერთია.“

„ჰმ,“ გამიცინა ჩემმა ძმამ და სხვა კი არა მითხრა რა. დედაჩემი ძალიან ჰსწუხდა, რომ ალფრედი წასვლას აპირებდა. მაგრამ ბოლოს ჩემდა განსაცვიფრებლად, საცოდავმა დედამ უთხრა: „ჰო, შვილო! საფრანგეთის ძუძუთი გაზდილი ხარ, უნდა წახვიდე, შენს ქვეყანას შენი ვალი უნდა გადუხადოო.“

„ჩემი ძმა ერთ დღესაც აღარ შეფერხებულა ამის შემდეგ. რაც ჩემი ძმა წავიდა, აღარა მქონია მე მოსვენება. დედა ჩემი კი არა ფერს იმცნევდა. ეს მით უფრო მაკვირვებდა მე, რომ ჩემი ძმა დედა-ჩემს თავ-გამომეტებით უყვარდა: მიკვირდა, დედის-ერთა, მშვენიერი, ჭკვიანი, ყმაწვილი-კაცი, ვაჟკაცი შვილი საომრად გაისტუმრა და თითქმის წარბიც არ შეინძრია. ეს კი იყო რომ შვილის ხსენებაზედ დედის სახეზედ კმაყოფილება, ბედნიერება, თავ-მოწონება გამოისახებოდა ხოლმე. მე კი, სწორედ გითხრათ, ვსტიროდი....

„ყოველ კვირა მოგვდიოდა ალფრედის წიგნი. თავის ამბავსა და თავის მეგობრისას, რომელიც სტამბოლიდამ გაჰყვა, დაწვრილებით გვატყობინებდა. უბრალო ჯარის-კაცათ ჩაეწერა თურმე და თვრამეტი ომი გადიხადა. ყველგან მშვიდობით გადურჩა, ასე რომ ფრჩხილიც არსად წამოსტკენია. ჩემის ძმის წიგნებმა და მშვიდობის ამბავმა ცოტად მომიფონეს, მაგრამ გულზედ მაინც რაღაცა ქვა მეწვა,—და ვერც დედის მხნეობამ, ვერც ჩემის ქმრის თანაგრძნობამ, ვერც ჩემის პატარის ჟანნას ღიმილმა და ვერც ამ ჩემის ძმის მშვიდობის ამბებმა ის ქვა გულიდამ ვერ ამსხნეს. რაღაც გაუგებარი, განუსაზღვრელი, უსახო და უცნაური კაეშანი მომეხვია გულს და არ მშორდებოდა.

„ესე ვიყავი კარგა ხანი. ბოლოს შევიტყეთ, რომ ომიანობა შესწყდა და მალე მშვიდობიანობის ზავიც შეიკვრისო. გვიხაროდა ძლიერ. დედა ჩემის სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. საცოდავი ჭირს გმირსავით იტანდა, მწუხარებაში გულსალი იყო, მაგრამ სიხარულში კი, როგორც ბავში, მთლად ბედნიერებას მიეცემოდა. სწორედ იმ ღამეს, როცა ეს ამბავი შევიტყეთ, საშინელი სიზმარი ვნახე.

„მესიზმრა ვითომც საშინელი ომია ატეხილი; მე ჩემის ძმის შორი-ახლო ვიდექი. გარეშემო მრავალი დახოცილი და საკვდავად დაჭრილი კაცი ეგდო. საზარო ხმა ისმოდა მომაკვდა კვნესისა და წყევისა. გასისხლიანებულს ცას შიგა და შიგ ალმური აზდიოდა, თითქო ცეცხლი უკიდიაო. სისხლის ფრად იყო შეღებილი ყოველის ფერი ჩემს გარეშემო. მეც სისხლით მოსვრილი, გიჟივით თქმა გაწეწილი ვიწევდი ჩემის ძმისაკენ: მინდოდა ზედ-გადავფარებოდი, რომ სიკვდილისაგან გადამერჩინა. უეცრად თვალწინ დამიდგა საშინელი, თვალ-მარლი, ქერა თმიანი გერმანიელი საზარელის სახისა... ოჰ, ეხლაც მახსოვს ის სახე.... არ ვიცი რა უხილავმა და უცნაურმა ძალმა შემიპყრა მე, დამაბა ერთს ადგილსა და არ მიშვებდა. სასოწარმეკვეთა, ვიტანჯებოდი.... ვხედავდი რომ ის საზარელი კაცი ჩემს ძმას უმიზნებს თოფსა; ვგრძნობდი რომ ტყვია გაუპობდა გულს და მე ღონე არა მქონდა ფეხი წინ წამედგა, ან ხმა ამომეღო.., საშინელის ტკივნეულობით ვცდილობდი ხმა მიმეწვდინა ჩემს ძმამდინა და დამეძახნა: ალფრედ, ალფრედ!... ტყვიას მოერიდე, ტყვიას!.. მაგრამ ხმაც გაწყვეტილი მქონდა და ენაც დაბმული, იჭექა უწყალო თოფმა. ჩემი ძმა გადიქცა და ჩემთა თვალთა წინაშე დიმი-

ლით და უშფოთველად სული დალია. მაშინ ხმაც მომეცა და სიტყვაც. ერთი საშინელის ხმით დავიკივლე და გამომეღვიძა კიდეც.

„აბა რად ვეტყოდი დედა ჩემს ამ სიზმარსა!..

„ორ-სამს დღეს შემდეგ მოგვივიდა ჩემის ძმის მეგობრის წიგნი. მაშინ შევიტყეთ ჩვენი უბედურება.... ჩემი ალფრედი აღარ იყო თურმე!... შეხედეთ ღვთის განგებას და საწყალის ჩემის ძმის ბედსა: სწორედ იმ დღეს როდესაც ზავი შეეკრათ, ალფრედი თურმე გაცხარებულს ომშია და იქ ჯერ დაზავების ამბავი არ მისულიყო. გერმანიელნი დასცემოდნენ ერთს ჩვენს სოფელს, უნდოდათ აეღოთ. ჩვენები, რასაკვირველია, არ უთმობდნენ. ჩვენები ექვსასნი ყოფილან, გერმანიელნი ათასნი. ექვსასში ჩვენებს ოთხასი ახლად შემოსული გამოუცდელი კაცი ერიოდათ და გაქცეულიყვნენ. დარჩენილიყო მხოლოდ ორასი კაცი. თქმა აღარ უნდა, რომ ამ ორასში ჩემი ძმაც იქმნებოდა. იქ მომიკლეს ჩემი ალფრედი!..

„დედა ჩემს ეს წიგნი არ ვუჩვენეთ, მაგრამ როდემდი? ერთხელ მნახა მტირალი, მკითხა, რა ამბავიაო. მეც ველარ გავუძელ ჩემს მწუხარებას და მივაწოდე ჩვენის უბედურების წიგნი. დედა ჩემმა მშვიდობიანად გადიკითხა. რა რიგად გამიოცდა, რომ ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია თვალიდამ, თუმცა სიკვდილის ფერი კი დაედო სახეზედ. მერე ერთხელ კიდევ გადიკითხა ის წიგნი და ჰსთქვა: „მეც მალე გნახავ, ჩემო კარგო შვილოო“. ეს იყო და ეს, არც იმის პირიდამ ჩივილიღა გაგვიგონია და არც იმის თვალში ცრემლი დაგვინახავს.

„მოხუცებული ფაშა, რომლის შვილებსაც ჩემი ალფრედი ასწავლიდა, ყოველ კვირას მოდიოდა ჩვენსა ჩემის ძმის ამბის საცნობლად. როცა ზავის ხმა გავარდა, მაშინაც მოვიდა ჩვენთან და სიხარულით მოგვილოცა ალფრედის მალე დაბრუნება. მაგრამ როცა შეიტყო მისი სიკვდილი ამ პატიოსანმა, მოხუცებულმა ოსმალომ გულის ტკივილით მოუსამძიმრა სალოდავს დედა ჩემს და იტირა კიდეც.

„მხოლოდ მაშინ იტირა დედა ჩემმაცა!.....“

ა. ს.

---

## გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები.

უკანასკნელს ექვს წელიწადს თან და თან იკლო რუსეთში დროებით-ვალდებულთა გლეხთა შორის მამულების დამხსნელთა რიცხვმა. 1871 წ. დაუხსნია მამულები 334,448 სულსა, 1872 წ.—205,974-ს, 1873 წ.—186,169-სა; 1874 წ.—136.807-სა; 1875 წ.—133,200-სა და ბოლოს 1876 წ.—110,810 წელსა. ამათ რიცხვში უფრო ბევრს დაუხსნია მამულები მთავრობის დაუხმარებლად: ზოგს შეძლებულთ გლეხთ დაუხსნიათ მამულები საკუთარის ფულით და უფრო გარდამეტებით ბევრს შეუძენია მამულები, ისე რომ მებატონეებს რგებულის მიწების მეოთხედი წილი საკუთრებად დაუთმიათ გლეხთათვისა. არის კანონი, რომ თუ მებატონე იმ მამულიდამ რაც გლეხს დებულებით უნდა ერგოს, მეოთხედს წილს გაუსაკუთრებს, მაშინ ნება აქვს დანარჩენს მამულებზედ გლეხს ხელი აალებინოს. დიდ-მებატონეების ნაყმევნი რუსეთში 10,137,76 სულია. აქედამ მარტო 8,129,874 სული მამულის მესაკუთრედ გამხდარა და დანარჩენი კი 2,007,854 სული ჯერ კიდევ დროებით ვალდებულ გლეხად ირიცხებიან.

---

1875 წლის 1-ს იანვრამდე რუსეთში თვრამეტს სამოსწავლო ოლქში, აღმოსავლეთ-დასავლეთ ციმბირითურთ, 22,389 პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ყოფილა, მოწაფენი ყოფილან: ვაჟნი 754,655 და ქალნი 165,252. ათას სულზედ რომ ერთი ამისთანა სასწავლებელი მაინც ვინატროთო, ამბობს ერთი რუსის გაზეთი: 50,323 სასწავლებელი მაინც კიდევ მოგვინდებაო. ზემოხსენებულ სასწავლებელზედ იხარჯება: სახელმწიფო ხაზინიდამ 828,847 მან. 82 კაპ., ერობისაგან (ЗЕМСТВО) 1,660,793 მან. და 3 კაპ., ქალაქებისაგან—660,937 და სოფლის საზოგადოებათაგან—1,467,123 მან. და 20 კაპ.

---

ერთს შვეიცარიელს მასწავლებელს, ბონილიეს შეუდგენია მოგზაურთა საზოგადოება, რომლის აზრი ის არის, რომ მეცნიერების და განათლების მსურველთა ყმაწვილ-კაცთა შეუმსუბუქოს ხარჯი და გაუადვილოს ევროპაში თუ სხვა ქვეყნებში მოგზაურობა სწავლისათვის. მოგზაურთა მიჩენილი ეყოლებათ ნასწავლნი კაცნი ყოველგვარის მეცნიერებისა. წელს,—შუა ზაფხულიდამ თურმე დაიწყობენ მაგ მოგზაურობას, მოივლიან ევროპიის უპირატესს ქალაქებს და მერე ჩრდილო ამერიკაში გადავლენ. ყოველ ქალაქში, ხაცა კი შეჩერდებიან, დასინჯავენ ყოველს მას, რითაც კი ქალაქი გათქმულია და გამოჩენილთა მეცნიერთა სწავლას მოისმენენ. რა პირობით შეიძლება ამ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღება—ჯერ ეგ გამოცხადებული არ არის.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Апреля 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე